ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომის ოქმი №20

17 მარტი, 2023 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
კახაბერ ლაბუჩიძე, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ ჩიკვილაძე და ნინო კვიტაიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:
1. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ჩაკვეტაძე;
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ვლადიმერ ბოჟაძე;
3. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - გივი ჩხარტიშვილი;
4. სპორტისა ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრი - ირაკლი ეძგვერაძე.

თბილისის საკრებულოში ორი კომისიის - განათლებისა და კულტურის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ლაბუჩიძე.

სხდომის დღის წესრიგი:

1. საკითხი: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (საფუძველი: წერილი №12-032307237-03, 13.03.2023).

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

2. საკითხი: ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (საფუძველი: წერილი №19/032306196-03; 02.03.2023)

მომხსენებელი: გიორგი სანადირაძე (განმცხადებლის ოჯახის წევრი).

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ ერთხმად მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარე, კახაბერ ლაბუჩიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული პირველი საკითხი.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსს ირაკლი გვილავას, რომლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებაში შედის ცვლილება, როგორც ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის, ისე - შინაარსობრივი.

ზემოაღნიშნული ცვლილების შინაარსობრივი ნაწილის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის (შემდგომში - სამსახური) დებულების (შემდგომში - დებულება) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის ნაცვლად ჩაიწერება არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია და მემორიალური დაფა, რაც შესაბამისობაში იქნება „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებთან.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს, სამსახურის განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ფუნქციებს დაემატება: წარმატებული სტუდენტების წახალისება, უმაღლესი განათლების მხარდაჭერა და სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი დაფინანსების პროგრამების განხორციელება; აგრეთვე, პროფესიული განვითარების, მათ შორის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობა;

ზემოაღნიშნულ ფუნქციებს, ნორმატიული აქტების შესაბამისად, სამსახური ახორციელებს, შესაბამისად, მიზანშეწონილია დებულებაში გამოიყოს ცალკე და დაკონკრეტდეს.

ამასთან, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით. მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ფუნქციებიდან ამოღებული იქნება სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ გაწეული სამუშაოებისა და დაგეგმილი საბიუჯეტო სახსრების გეგმური შესრულების ანალიზი; აგრეთვე, მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ფუნქციებიდან ამოღებული იქნება, სამსახურს დაქვემდებარებული ობიექტების წლიური ანგარიშების შესწავლა. აღნიშნულ ფუნქციას ახორციელებენ, სამსახურის სხვა განყოფილებები, შესაბამისად, ამ ფუნქციის საჭიროება მონიტორინგისა და შეფასების განყოფილებაში არ არის.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში დაკონკრეტდება, რომ პროექტების განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულებით მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გაანგარიშება მოხდება, სამსახურის შემდეგი პროგრამების მიმართულებით: „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა (კოდი: 08 13);

მე-5 მუხლის მე-6 პუნქტს დაემატება შემდეგი შინაარსის „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები:

„ნ) მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება;

ო) სამართლებრივი აქტების და სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება.“.

აღნიშნული ქვეპუნქტების დამატების საჭიროება გამოიკვეთა ზემოაღნიშნული განყოფილების პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიხედვით:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების:

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დედაქალაქში სკოლამდელი განათლების განვითარების ხელშეწყობა;“;

ა.ბ) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მსოფლიოს ქალაქებსა და დედაქალაქებთან განათლების საკითხების ირგვლივ თანამშრომლობის სფეროში თბილისის კავშირების განვითარების ხელშეწყობა; განათლების საკითხებთან მიმართებაში ქვეყნის საზღვრებს გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებზე შესაბამისი პირების მონაწილეობის ხელშეწყობა. საზღვარგარეთიდან სპეციალისტების მოწვევა განათლების სფეროში მოღვაწე ადგილობრივი სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გამოცდილების გასაზიარებლად, კონფერენციების, სემინარებისა და მასტერკლასების მოსაწყობად; გაცვლითი პროგრამების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მხარდაჭერა განათლების სფეროს სპეციალისტებისათვის და სტუდენტებისათვის;”;

ა.გ) „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) პროფესიული განვითარების, მათ შორის პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ადგილობრივი და საზღვარგარეთ სტაჟირების პროგრამების განხორციელება.“;

მე-5 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირებისთვის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და განვითარების შესახებ შესაბამისი მუნიციპალური პროგრამების, პროექტების მომზადება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

„ბ) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო წინადადებებისა და კონცეფციების შემუშავება, მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

„გ) სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების, შეთანხმებების, მემორანდუმებისა და სხვა დოკუმენტაციის პროექტების მომზადება;“;

2. მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის:

ა.ა) „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

„გ) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების წლიური ანგარიშების შესწავლა;“;

ა.ბ) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა.გ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების შესახებ განცხადებების განხილვა და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების განხორციელება;“;

ბ) მე-3 პუნქტის:

ბ.ა) „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

„დ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში სახალხო და სახელმწიფო დღესასწაულების კონცეფციების შემუშავება და განხორციელების უზრუნველყოფა;

„ე) მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქების კულტურის სფეროს მიკუთვნებული წარმატებული პროექტების მოძიება და გამოცდილების გაზიარება; შესაბამის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა;

„ვ) კულტურის სფეროს მიკუთვნებული საერთაშორისო და გაცვლითი ღონისძიებების განხორციელება, თბილისთან დაძმობილებულ ან/და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან ერთობლივი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;“;

ბ.ბ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ინკლუზიური ხელოვნების და განათლების მიმართულების განვითარება;“;

ბ.გ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით კონკურსების ორგანიზება;“;

ბ.დ) „ნ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. კომპეტენციის ფარგლებში განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების ფუნქციებია:

ა) განათლების საქალაქო სფეროს განვითარებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში მუნიციპალური პროგრამების მომზადება და მართვის ორგანიზება, ამ მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და კონცეფციების შემუშავება;

ბ) განათლების და ახალგაზრდობის სფეროს პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებების, აგრეთვე, ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება;

გ) განათლების და ახალგაზრდობის მიმართულებით საქალაქო პროგრამების მიმდინარეობისას ადმინისტრირებისა და ანალიტიკური სამუშაოების განხორციელება;

დ) განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფ იურიდიულ პირებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;

ე) განათლების და ახალგაზრდობის მიმართულებით ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ცენტრების მშენებლობის მიზნით პროექტების მომზადება და განხორციელება;

ვ) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე და ახალგაზრდული დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია;

ზ) საერთაშორისო პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, დამეგობრებულ ქალაქებთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროგრამების განხორციელება;

თ) ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განვითარება და მათი საქმიანობის მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა;

ი) ევროკავშირის ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

კ) ახალგაზრდებში მოხალისეობის განვითარება, სოციალური მეწარმეობის პროექტების მხარდაჭერა, ახალგაზრდულ სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, ახალგაზრდობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

ლ) ახალგაზრდებისათვის დასვენების, რეკრეაციის, გართობის, დასაქმების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა, ამ მიზნით შესაბამისი პროექტების და პროგრამების განხორციელება;

მ) განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში, საჭირო ბიუჯეტისა და სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

ნ) წარმატებული სტუდენტების წახალისება, უმაღლესი განათლების მხარდაჭერა და სტუდენტთა ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი დაფინანსების პროგრამების განხორციელება;

ო) პროფესიული განვითარების, მათ შორის პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობა;

პ) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების წლიური ანგარიშების შესწავლა;

ჟ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.";

მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების ფუნქციებია:

ა) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების საქმიანობის მონიტორინგი;

ბ) საჭიროებისამებრ, სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების პრობლემების იდენტიფიცირება და საჭიროებების დადგენა;

გ) მუნიციპალური პროგრამების, ღონისძიებების/ აქტივობების/ პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი, შეფასება და შესაბამისი დასკვნების მომზადება;

დ) დაფინანსებული პროექტების განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადების კონტროლი, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფინანსური და სამართლებრივი მხარის შესწავლა/ვიზუალური მასალის გაცნობა;

ე) მონიტორინგის ოქმების ფორმების შემუშავება, მოხსენებითი ბარათისა და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება;

ვ) პროექტების განხორციელების შესახებ დადებული ხელშეკრულებით მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების გაანგარიშება, სამსახურის შემდეგი პროგრამების მიმართულებით: „კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა“ (კოდი: 08 05), „შემოქმედებითი თბილისი“ (კოდი: 08 09) და „ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა (კოდი: 08 13);

ზ) სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი იურიდიული პირების სამუშაო პროცესის მონიტორინგი;

თ) სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი, შესრულების ვადების კონტროლი, შესაბამისი მოხსენებითი ბარათების და ინსპექტირების აქტების მომზადება;";

ი) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღრიცხვა;

კ) ინვენტარიზაციის პროცესის მართვა;

ლ) სრულ ინდივიდუალურ მატერიალურ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულებების მომზადება;

მ) სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის/ორგანოს მიერ შემოწმებული მუნიციპალური ობიექტების დასკვნების შესწავლა და რეაგირება;

ნ) მონიტორინგისა და შეფასების განყოფილების მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება;

ო) სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება.“.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის დეტალური ანალიზის შემდეგ, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის თაობაზე.

მომხრე	3
წინააღმდეგი	0
თავი შეიკავა	1 (ნინო კვიტაიშვილი)

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით დაადგინა: კომისია დადებითად აფასებს საკითხს, არ აქვს შენიშვნები და წინადადებები მის მიმართ და მხარს უჭერს წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის გადაცემას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხი: ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ (წერილი: №19/032306196-03; 02.03.2023).

კახაბერ ლაბუჩიძემ კომისიის წევრებს გააცნო განათლებისა და კულტურის კომისიაში წარმოდგენილი წერილი, რომელიც შეეხებოდა პროფესორისა და მეცნიერის, ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების საკითხს. თავმჯდომარემ კომისიის წევრებსა და განმცხადებლის წარმომადგენელს განუმარტა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების სამართლებრივი პროცედურები, კერძოდ აღნიშნა, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის და მემორიალური დაფის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობს თბილისის მერის მიერ შექმნილი კომისია. საკითხის ინიციირებისთვის დაინტერესებული პირი განცხადებით მიმართავს თბილისის მერიას. განცხადებას თან უნდა დაერთოს: სსიპ – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი, რომლითაც დასტურდება განმცხადებლის მიერ მითითებული უძრავი ნივთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის არსებობა/არარსებობა; მესაკუთრის თანხმობა; მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაცია შესაბამისი უწყებებიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუ მემორიალური დაფის განთავსება მოთხოვნილია იმ შენობა/ნაგებობაზე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, კომისიის დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში, განმცხადებელმა სამსახურში უნდა წარადგინოს არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ვლადიმერ შარვაშიძის ბიოგრაფიისა და ღვაწლის შესახებ. მისი განმარტებით, ვლადიმერ შარვაშიძე იყო თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) ზოოლოგია-ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი, 200-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის (მათ შორის 10 მონოგრაფიის) ავტორი, საქართველოს პირველი იქთიოლოგი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1940 -1946 წლებში ის იყო კრასნოიარსკის სახელმწიფო ნაკრძალის დირექტორი. 1949-1960 წლებში იყო სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების კათედრის გამგე. 1971 წლიდან ა. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ზოოლოგიის კათედრის პროფესორი. ვლადიმერ შარვაშიძის უმთავრესი ნაშრომები ეხება თევზების ევოლუციის, ეკოლოგიის, სისტემატიკის, ემბრიოლოგიის, ბიოლოგიურ საკითხებს, თევზმეურნეობის ბიოლოგიურ საფუძვლებს. მეცნიერს, ახალგაზრდა თაობის აღზრდაში შეტანილი წვლილისთვის, 1983 წელს მიენიჭა ღირსების ორდენი. ვლადიმერ შარვაშიძე 1961-2000 წლებში ცხოვრობდა ქალაქ თბილისში, გალაკტიონ ტაბიძის ქ. N12-ში მდებარე სახლში, რომელიც საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 01/10/2007 წლის #3/181 ბრძანების საფუძველზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

კახაბერ ლაბუჩიძემ სიტყვა გადასცა გიორგი სანადირაძეს, რომელმაც კომისიის წევრებს მიმართა ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების შესახებ რეკომენდაციის თხოვნით.

განათლებისა და კულტურის კომისიამ, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და მსჯელობის შედეგად გადაწყვიტა, რომ წარმოდგენილი განცხადება დადებითი რეკომენდაციით გადაგზავნილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში, რათა შესაბამისმა კომისიამ უახლოეს სხდომაზე იმსჯელოს ვლადიმერ შარვაშიძის მემორიალური დაფის განთავსების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ლაბუჩიძე

მოამზადა: ირაკლი შამათავა